ხელშეკრულება № 2-002720-2011
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
01/1/67-

ქ. თბილისი 13 ივნისი 2011 წელი

ერთი მხრივ, 1. სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო, წარმოდგენილი დირექტორის მოადგილის ირაკლი თოდუას სახით; 2. სსიპ – სკოლის მანდატურის სამსახური, წარმოდგენილი სამსახურის უფროსის ზვიად ხიდიშელის სახით; 3. სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, წარმოდგენილი დირექტორის მოადგილის დავით კერესელიძის სახით და 4. სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, წარმოდგენილი გენერალური დირექტორის სულხან სისაურის სახით (შემდგომში - შემსყიდველი) და **მეორეს მხრივ,** ს.ს.ი.პ. – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო (შემდგომში - მიმწოდებელი) ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) საქმისწარმოების სამმართველოს მთავარი სპეციალისტის ანა ნადირაშვილის სახით (ბიუროს უფროსის 03.01.2011 წლის №1§1 ბრძანებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ნატარების წესის" მე-3 მუხლის მეორე პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის საფუძველზე საფუძველზე დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1. ხელშეკრულების საგანია სს „ჯეტრანსგაზ-თბილისი"-ს მიერ ქ. თბილისში, ალექსიძის ქუჩა №1-ში, შენობა-ნაგებობა №1-ის გაზმომარაგების მაგისტრალის მოწყობის და ქსელში შეჭრის სამონტაჟო სამუშაოების საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის მომსახურების შესყიდვა (**CPV** კოდი: 71300000, 71335000), გამარტივებული შესყიდვით.

1.2. ხელშეკრულების ობიექტია, სს „ჯეტრანსგაზ-თბილისი"-ს მიერ ქ. თბილისში, ალექსიძის ქუჩა №1-ში, შენობა-ნაგებობა №1-ის გაზმომარაგების მაგისტრალის მოწყობის და ქსელში შეჭრის სამონტაჟო სამუშაოების საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის მომსახურება (ექსპერტის დასკვნის გაცემა).

მუხლი 2. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

2.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

2.2 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

მუხლი 3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოს ღირებულება განისაზღვრება – საქართველოს მთავრობის 2011 წლის 13 მაისის №215 დადგენილებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლოს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომსახურების ტარიფების საფუძველზე, ფაქტიურად გაწეული მომსახურების მოცულობის შესაბამისად.

3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს: 920.40 (ცხრაას ოცი ლარი და 40 თეთრი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

მუხლი 4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების გაწევა განახორციელოს შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის საექსპერტო მომსახურების ჩასატარებლად საჭირო მასალების წარდგენის მომდევნო დღიდან 30 (ოცდაათი) სამუშაო დღეში.

4.2 მომსახურების შესრულების ვადაში არ ჩაითვლება დროის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მომსახურების გაწევა შეჩერებულია შემსყიდველის მიზეზით.

მუხლი 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე, ტექნიკურ ზედამხედველობაზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირებს წარმოადგენენ:

1. სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოს სამშენებლო სამსახურის თანამშრომელი მერაბ ჭონიაშვილი.
2. სსიპ – სკოლის მანდატურის სამსახურის საფინანსო სამმართველოს კოორდინატორი ზურაბ მარკოზაშვილი.
3. სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ადმინისტრაციის უფროსი ნოდარ ხარაზიშვილი.
4. სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის ტექნიკური მენეჯერი დავით ხვედელიძე.

მუხლი 6. ანგარიშსწორება

6.1 შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად.

6.2 ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებელის მიერ მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 საბანკო დღეში.

6.3 ანგარიშსწორება განხორციელდება თანადაფინანსების პრინციპით და შესაბამისად ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა განისაზღვრება შემდეგნაირად:

1. სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო – 230.10 (ორას ოცდაათი ლარი და 10 თეთრი) ლარი.

სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს აღნიშნული თანხის გადახდევინება მოხდება 2011 წლის 03 თებერვლის №162/01/7 ხელშეკრულების შესაბამისად.

2. სსიპ – სკოლის მანდატურის სამსახური – 230.10 (ორას ოცდაათი ლარი და 10 თეთრი) ლარი.
3. სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი – 230.10 (ორას ოცდაათი ლარი და 10 თეთრი) ლარი.
4. სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი – 230.10 (ორას ოცდაათი ლარი და 10 თეთრი) ლარი.

6.4 ანაზღაურების ადგილი – ქ. თბილისი.

მუხლი 7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1 **შემსყიდველი ვალდებულია:**

ა) საექსპერტო კვლევის ჩასატარებლად საჭირო მასალები წარადგინოს კანონით დადგენილი წესით;

ბ) დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

გ) ხელი შეუწყოს მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული კვლევის შესრულებაში.

7.2 შემსყიდველი უფლებამოსილია:
ა) მოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული და ხარისხიანი შესრულება.
7.3 მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) შემსყიდველის 2011 წლის 03 ივნისის წერილობითი მომართვის საფუძველზე ჩაატაროს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №255 დადგენილებით დამტკიცებული საინჟინრო-ტექნიკური საექსპერტო მომსახურება. კერძოდ, სს „აზტრანსგაზ-თბილისი"-ს მიერ ქ. თბილისში, ალექსიძის ქუჩა №1-ში, შენობა-ნაგებობა №1-ის გაზმომარაგების მაგისტრალის მოწყობის და ქსელში შეჭრის სამონტაჟო სამუშაოების საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზა.
ბ) საექსპერტო კვლევის ჩასატარებლად საჭირო მასალები მიიღოს და ჩაიბაროს კანონით დადგენილი წესით;
გ) დროულად და ხარისხიანად ჩაატაროს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი გამოკვლევები;
დ) აცნობოს შემსყიდველს სამუშაოს შესრულების პროცესში რაიმე დაბრკოლების არსებობის ან სავარაუდოდ მისი წარმოშობის შესახებ, რამაც გამოიწვია, ან შეიძლება გამოიწვიოს გამოკვლევის ჩატარების შეფერხება, ან ობიექტური მიზეზების გამო საჭირო ხდება გამოკვლევის შესრულების ვადის გაგრძელება;
ე) სრულყოფილი სახით წარმოადგინოს საექსპერტო სამუშაოს შესასრულებლად საჭირო მასალები ან/და უზრუნველყოს ექსპერტის ან სპეციალისტის დაშვება ობიექტზე.
ვ) დაიცვას გამოკვლევის შესრულების (საექსპერტო კვლევის) საფუძველზე მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

7.4 მიმწოდებელი უფლებამოსილია:
ა) მოითხოვოს შემსყიდველისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული შესრულება;
ბ) შეაჩეროს ხელშეკრულებით განსაზღვრული კვლევა, თუ ეს გამოწვეულია შემსყიდველის მიზეზით.
გ) საექსპერტო სამუშაოს შესასრულებლად საჭირო მასალების სრულად წარმოუდგენლობის, ან ობიექტური მიზეზების წარმოშობის შემთხვევაში უარი განაცხადოს სამუშაოს შესრულებაზე და დააბრუნოს საქმე შეუსრულებლად, ამის შესახებ დამკვეთისთვის შეტყობინებიდან 15 დღის ვადაში

მუხლი 8. მხარეთა პასუხისმგებლობა

8.1 მხარეები პასუხს აგებენ მათ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან არაჯეროვანი შესრულებისათვის, აგრეთვე ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის შემთხვევაში, ან საკუთარი ნებით ხელშეკრულებიდან გასვლისას, თუ ამ ქმედებამ მეორე მხარეს მიაყენა მატერიალური ზიანი.
8.2 თუ შემსყიდველი უარს განაცხადებს მიმწოდებლის მიერ ჩატარებული სამუშაოს გაგრძელებაზე ან მომზადებული საექსპერტო დასკვნის მიღებაზე, იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულებით განსაზღვრული შესრულებული კვლევის საფასურის გადახდისაგან.
8.3 თუ მიმწოდებელი თავისი ბრალით, უხეშად დაარღვევს ხელშეკრულებით განსაზღვრულ კვლევის შესრულების ვადას და ამით შემსყიდველს მიადგება მატერიალური ზიანი, მიმწოდებელი პასუხს აგებს მიყენებული მატერიალური ზიანისათვის საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით.
8.4 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, სამართალდამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, მეორე მხარის სასარგებლოდ ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე კონკრეტულად გაწეული მომსახურეობის ღირებულების 0.01%-ის ოდენობით.

მუხლი 9. ფორს-მაჟორი

9.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

9.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბაჟო ტარიფების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

მუხლი 10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2011 წლის 20 აგვისტოს ჩათვლით და/ან მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

მუხლი 11. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

11.1 შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების გაწევის პარალელურად მოახდინოს მომსახურების შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

11.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული მომსახურების ნაწილის და წუნდების მიზეზების მითითებით.

11.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.4 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ წინამდებარე ხელშეკრულების 5.2 მუხლში მითითებული პირ(ებ)ი.

მუხლი 12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1.ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა საკითხების ირგვლივ.

12.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს დავის გადაწყვეტის მიზნით დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოს.

მუხლი 13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 ხელშეკრულება ავტომატურად წყდება:

ა) მხარეების მიერ დაკისრებული ვალდებულებების სრულად შესრულებისთანავე;

დამკვეთი იურიდიული პირის ლიკვიდაციის შემთხვევაში, თუ მას არ ჰყავს სამართალმემკვიდრე ან უფლებამონაცვლე.

13.2. მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით, ორმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

13.3 მხარეებს უფლება აქვთ ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე ან უარი განაცხადონ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, თუ მეორე მხარე არ ასრულებს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

მუხლი 14. სხვა პირობები

14.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ხუთ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთ პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

<u>შემსყიდველი:</u>

სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
მის: ქ. თბილისი
მ. უზნაძის ქ. 68
სახელმწიფო ხაზინა
ბ/კოდი 220101222
ა/ა 200122900
ს/კოდი: 202294980

სსიპ სკოლის მანდატურის სამსახური
მის: ქ. თბილისი
მ. ალექსიძის ქ. №1
სახელმწიფო ხაზინა
ბ/კოდი 220101222
ა/ა 200122900
ს/კოდი: 205296650

სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორის მოადგილე

ირაკლი თოდუა

სსიპ სკოლის მანდატურის სამსახურის უფროსი

ზვიად ხიდიშელი

სსიპ – განათლების
ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრი
მის: ქ. თბილისი
მ. ალექსიძის ქ. №1
სახელმწიფო ხაზინა
ბ/კოდი 220101222
ა/ა 200122900
ს/კოდი: 202330566

სსიპ შოთა რუსთაველის
ეროვნული სამეცნიერო ფონდი
მის: ქ. თბილისი
მ. ალექსიძე ქ. №1
სახელმწიფო ხაზინა
ბ/კოდი 220101222
ა/ა 200122900
ს/კოდი: 204578064

სსიპ განათლების ხარისხის
განვითარების ცენტრის
დირექტორის მოადგილე

დავით კერესელიძე

სსიპ შოთა რუსთაველის
ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორი

ხულხან სისაური

მიმწოდებელი:

ს.ს.ი.პ. – ლევან სამხარაულის სახელობის
სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
მის. ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ №84
სს „ლიბერთი ბანკი" ტ/ფ
კოდი: LBRTGE22
ა/ა № GE86LB0121113150235000
ს/კოდი: 204852089

ს.ს.ი.პ. – ლევან სამხარაულის სახელობის
სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს
საქმისწარმოების სამმართველოს მთავარი
სპეციალისტი

ანა ნადირაშვილი

13.06.2011

ინტერესთა კონფლიქტი

ვადასტურებ, რომ ჩემი მონაწილეობა სსიპ სკოლის მანდატურის სამსახურის მიერ 2011 წლის 13 ივნისს გაფორმებული N01/1/67 ხელშეკრულებაში, არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-8 მუხლით დადაგენილ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს.

აღნიშნულს ვადასტურებ ხელისმოწერით:

სამსახურის უფროსი - ზვიად ხიდიშელი

სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე- გიორგი კილაძე

სამსახურის უფროსის მოადგილე -სიმონ ქიტიაშვილი

სამსახურის უფროსის მოადგილე-გელა გელაძე

საფინანსო სამმართველოს უფროსი-თამარ კუბიაშვილი

საფინანსო სამმართველოს კოორდინატორი-მაია მაისურაძე

საფინანსო სამმართველოს კოორდინატორი- ზურაბ მარკოზაშვილი